საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №40
2022 წლის 23 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 6 აპრილის №17 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 6 აპრილის №17 ბრძანებით (ვებგვერდი, 06/04/2021, სარეგისტრაციო კოდი: 120010000.22.026.016873) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საიდუმლოების რეჟიმის დაცვისა და ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის ქვერეგისტრის სამმართველო:

დ.ა) საიდუმლო რეჟიმის დაცვის განყოფილება;

დ.ბ) ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის ქვერეგისტრი;“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{1}“ ქვეპუნქტი:

„დ^{1}) თავდაცვის ძალების არქივი:

დ^{1}.ა) არასაიდუმლო არქივი;

დ^{1}.ბ) საიდუმლო არქივი;”.

2. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) თავდაცვის ძალების არქივის საიდუმლო და არასაიდუმლო წარმოება, თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში საქმისწარმოებით დასრულებული საქმეების სათანადოდ გაფორმების სისწორის შემოწმება, მათი მიღება, აღრიცხვა და შენახვა, დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზება;“;

ბ) მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^{1} პუნქტი:

„5^{1}. თავდაცვის ძალების არქივის კომპეტენციაა:

ა) თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებიდან საქმისწარმოებით დასრულებული საქმეებისა და

დოკუმენტების, ასევე ლიკვიდირებული (გაუქმებული) ქვედანაყოფების დოკუმენტაციის მიღება, შენახვა და დაცვის უზრუნველყოფა;

ბ) თავდაცვის ძალების საარქივო ფონდის დოკუმენტების დამუშავება და მათთვის შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარება;

გ) თავდაცვის ძალების არქივში არსებული დოკუმენტების სამეცნიერო-საცნობარო აპარატის (საქმეთა ანაწერები, საინფორმაციო-საძიებო სისტემები, მონაცემთა ბაზები და სხვ.) შექმნა და სრულყოფა;

დ) ზემდგომი ხელმძღვანელობის და თავდაცვის სამინისტროს სისტემის ქვედანაყოფების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფა არქივში დაცული საარქივო დოკუმენტებით;

ე) თავდაცვის ძალებში შემავალ ქვედანაყოფებში დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზება და დოკუმენტების შედგენა-გაფორმებისა და საქმეთა ფორმირების სისწორის კონტროლი;

ვ) თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფების საქმეთა ნომენკლატურის შემუშავებაში მონაწილეობა და მათთვის პრაქტიკულ-მეთოდიკური დახმარების გაწევა დოკუმენტებზე მუშაობისას;

ზ) საარქივო საქმისა და საქმისწარმოების საკითხებზე ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტების შედგენა-შემუშავებაში მონაწილეობა;

თ) თავდაცვის ძალების არქივის მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტების ქვედანაყოფებიდან გამოთხოვა;

ი) თავდაცვის ძალების არქივისათვის დოკუმენტების მოწესრიგებულ მდგომარეობაში დროულად გადაცემის კონტროლი;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის პირველი ივლისიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ჯუანშერ ბურჭულაძე**